№ 252 ნოემბერი 26, კვირა 1889 ნოემბერი 26, კვირა № 252

გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
| --- | --- | --- | --- |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 7 65 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიასა თავად-აზნაურთ ბანკის სასახლეში სასახლის ქუჩაზე.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი ოცდა კაპეიკი.

1877—1889 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889

## სასწავლებელი და პანსიონი

ი. რ. მრევლიშვილისა

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, ვარანცოვის ძეგლს პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

ამზადებს ბავშვებს კადეტის კორპუსისა, გიმნაზიისა და რეალურ სასწავლებლისათვის, აგრეთვე იყვანს პანსიონერებად ყველა საშუალო სასწავლებლის შეგირდებს. დაწვრილებით პირობის შეტყობა თვით სასწავლებელში შეიძლება.

(15—11)

ქართული თეატრი

ოთხშაბათს, 28 ნოემბერს,

ბენეფისი

ვ. ლ. გუნიასი

ქართულის თეატრის არტისტების მიერ წარმოდგენილი იქნება:

I

ედმუნდ კინი

კომედია 4 მოქმედ. თხზ. ა. დიუმასი.

II

ახალი პიესა

ადვოკატთან

კომედია 1 მოქმედ.

მოთამაშენი: ქ-ნნი საფაროვისა, გაბუნია-ცაგარლისა, ავალოვისა, დიმელი; ბ-ნნი აბაშიძე, გუნია, გედევანოვი, სუციშვილი, სვიმონიძე, ცაგარელი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზე

ტფილისი, 25 ნოემბერი

24-ს ნოემბერს ტფილისის სასამართლომ თავისი მსჯავრი დასდო ყოფილს მოწაფეს ტფილისის სახელოსნო სასწავლებლისას ვასილ ივანეს ძეს გაგაბაძეს, ჩამოართვა ყოველივე ღირსება და უნდა გაიგზავნოს კატორღაში ოთხის წლით.

რა თქმა უნდა, რომ ყოველივე დანაშაული კაცისა წინაშე კაცთა და საზოგადოებისა ასე თუ ისე დასჯილ უნდა იქმნას, ესე იგი, ყოველივე ბოროტად მომქმედი კაცი უნდა დაყენებულ იქმნას ისე, რომ ვერ შესძლოს ბოროტის ქმნა, თუ მოურჯულებელია, და თუ მოსარჯულებელია, ისე უნდა გარემოცულ იქმნას, რომ მოირჯულდეს, გასწორდეს, გაკეთდეს და ისევ პატიოსან კაცად დაუბრუნდეს საზოგადოებას. ჩვენი გულითადი აზრი ის არის, რომ სასჯელი ზღვევა არ იყოს, სამაგიეროს გადახდას არ მოასწავებდეს. ერთიცა და მეორეც, ჩვენის ფიქრით, აუპატიურებს იმ უწმინდაესსა და უმაღლესს დანიშნულებას განკითხვისას, რომელსაც ჩვენ მართლიერებას, სამართალს ვეძახით და ურომლისოდ კაცთა საზოგადოებას, კაცთა კრებულს ერთს წუთსაც გაძლება არ შეუძლიან. მართლიერება, სამართალი მთელის ერის განწმენდილი სინიდისია, მთელის ერის განწმენდილი ნამუსია და როგორ უნდა იკადროს ამ საყოველთაო სინიდისმა, ამ საყოველთაო ნამუსმა ჯიბრში ჩაუდგეს უბედურს შემცოდველსა და „კბილი კბილის წილ და თვალი თვალის წილ“ მოსთხოვოს. აქ საჭიროა მორჯულება შემცოდველისა და არა ჯვართა-ცმა და შანთით გლეჯა ხორცისა, ტანჯვა და წვალება.

ერთი უდიდესი მოვალეობა ადამიანისა მსაჯულობაა. მსაჯული ის რჩეული კაცია, რომელსაც აბარია ჩვენი ქონება, ჩვენი ღირსება, ჩვენი სიცოცხლე, ჩვენი სული და ხორცი, ერთის სიტყვით, ჩვენი კაცური კაცობა, ჩვენი ადამიანობა. იგი განხორციელებული ნამუსია და განხორციელებული სინიდისია მთელის ერისა, ერის უკეთესს კაცთაგან შეძლებისამებრ განწმენდილი და კუთვნილ სიმაღლეზედ დაყენებული. ეს მთელის ერის ნამუსი, მთელის ერის სინიდისი მაშინ უფრო იტანჯება, მაშინ უფრო იმღვრევა, როცა შემცოდველს უყურებენ, როგორც სხვერპლს ზღვევისას, სამაგიეროს გადახდისას, ვიდრე მაშინ, როცა ცალკე კაცი რაიმე დანაშაულს, რაიმე ცოდვას ჩაიდენს და ამით ასე თუ ისე შეაშფოთებს საზოგადოებას. ეგ სინიდისი, ეგ ნამუსი სიყვარულით, გულის ტკივილით გამკითხველია ცოდვილისა და არა რისხვითა და წყრომით მქნეველია გალესილის ხმლისა. იგი სწუხს ცოდვილის დანახვაზედ და არა ჰხარობს-კი, რომ აი მომეცა შემთხვევა ბოროტს ბოროტი მივუწყოვო და ცოდვილი წამებას მივცეო. ამით არის ეგ საყოველთაო სინიდისი ტკბილი, ამით არის საყვარელი, ამით არის მომხიბვლელი და სატრფიალო.

## ახალი ამბავი

*** ჩვენ შევიტყვეთ, რომ ტფილისის გუბერნატორს თ. გ. მ. შერვაშიძეს მიუღია ყოველ გვარი ღონისძიება იმ ავაზაკთა აღმოსაჩენად, რომელთაც მოჰკლეს 19 ნოემბერს ორი ახალსოფლელი მცირე-წლოვანი მწყემსი. გუბერნატორს დაუგზავნია თავისი მოხელენი და დაუვალებია, რომ მიმოელეთ ყველა მაზრა და გადასჩხრიკეთ ყველა სოფელი ბორჩალოსა და სხვა მაზრებში, საცა-კი გეგულებოდეთო.

*** ბ-ნ ივანე მაჩაბელს, რომელმაც გადმოსთარგმნა „ჰამლეტი“ და „ოტელო“ შექსპირისა, დაუწყია თარგმნა „მაკბეტისა“. როგორც შევიტყეთ, პატივცემულს მთარგმნელს პირველ მოქმედების თარგმნა უკვე დაუსრულებია.

*** საყმაწვილო ჟურნალის „ჯეჯილის“ რედაქციას უკვე შეუდგენია პირველი ნომერი ჟურნალისა და გა-

## წერილი ეკატერინენფელდიდამ.

აქაურს გერმანელებს ქორწილი ასე სცოდნიათ: ჯერ კიდევ პატარები, ქალი და ვაჟი, გაიცნობენ ერთმანეთს, მიჰყვებ-მოჰყვებიან, შინ, თუ კარში, დამეგობრდებიან. დედ-მამა სრულს ნებას აძლევს. ზაფხულის დღეში, სალამოთი ჰნახავთ, მთელი ქუჩები ეკატერინენფელდისა სავსეა ყმაწვილის ქალ-ვაჟით. დადიან წყვილ-წყვილად და ხროვად ქალები ვაჟებთან: იცინიან, ლაპარაკობენ, მღერიან და სხ. ამ ნაირად გადის ხუთი, თუ მეტი, წელიწადი და შემდეგ მოსდევს ჯვარის წერა. უნდა ვსთქვათ, რომ იშვიათია ამ ნაირის გაცნობისა და დამეგობრობის შემდეგ ქალ-ვაჟის გაყრა. თუ რაიმე ბიაბრუობა მიაყენა ვაჟმა ქალს და თავი გაანება, თავისთან აღარ აზოგინებენ მოძმენი. ქორწილში მეფის მშობლები ჰპატიჟობენ ყველას: ნათესავებს, ნაცნობებს და მეგობრებს, რომლის ოჯახებიც ქორწილის დღეს მეფე-დედოფლის პატივის საცემლად უქმობენ. ჯვარის წერის შემდგომ სადილად მეფის სახლში მიდიან, ქალები ცალკე და ვაჟები ცალკე ლხინობენ, თამაშობენ, მღერიან და სხვადა-სხვა ევროპიულს მუსიკას უკრავენ. სადილს რომ შეექცევიან, სალამოთი თავ-თავისს სახლში მიდიან.

დათრობა რამეც თუ სხვა დროს, ქორწილშიაც, ძნელია. გერმანელი ძნელად დაითრობა ისე, რომ ბარბაცი დაიწყოს, მეტადრე ამისთანა მთვრალმა რომ ქუჩაში გაიაროს, მოძმენი ვერაფრად ჩამოართმევენ.

## ფელეტონი

### ბოდვა

III

ქალებმაც რომ გვკითხონ კაცებს:
თქვენ რაღა ხართ, ჩვენ რომ გვწუნობთ?
განა თქვენ-კი ცხოვრებაში
ჩვენზედ ნაკლებ მაიმუნობთ?

—

ცოლს რომ ირთავთ, რას დაეძებთ:
მეგობარს და შვილის მშობელს?
თუ ფულსა და პროტექციას,
სინიდისის დამამხობელს?

—

როდის იყო, რომ მოგწონდათ
და ეტრფოდით მუშა ქალებს?
თქვენვე არ სდევთ ბუზ-პეპელებს?!
ვერ აშორებთ გულს და თვალებს?

—

თქვენ არა ხართ, რომ გვიჩვენებთ
შავს თეთრად და თეთრს-კი შავად?
უთავბოლოდ თუ ვირჯებით,
იმიტომ-რომ ვერ გცნობთ თავად!

—

ეს რომ გვკითხონ, რაღა გვეთქმის?
ჩავიგუბოთ პირში წყალი!
წავიყრუოთ და ჩვენს საქმეს
ავარიდოთ ჩვენვე თვალი!..

—

თორემ აღარ მოხერხდება
ჩვენის თავის გამართლება
და დრომაც რომ გვიკიჟინოს,
ღირსი ვართ და გვემართლება!

—

გული მწყდება, მაგონდება
სიყმაწვილე გადასული!..
სხვა გვარ ვგრძნობდით, სხვას ვფიქრობდით,
სხვა ნაირად სძგერდა გული.

—

ჩვენ ვიყავით უცხო მხარეს
თავ-მოყრილი ერთად, სრულად;
ვამზადებდით ქვეყნისათვის
თავს მოწამე-მოციქულად.

—

ჩამოვედით: ვიწყეთ ბრძოლა,
მივიტანეთ იერიში;
არ გვქონია სხვისი რიდი,
არც გვდებია გულში შიში!.

—

სანამ ბედმა უკულმართმა
არ დაგვსეტყვა, არ დაგვმეხა,
და სურვილით სავსე გული
უდროოდ არ გაგვიტეხა.

—

მაშინ მხოლოდ ცხოვრებამაც
შეგვიტოპა... შეგვითრია!..
და მას შემდეგ შრომის ოფლი
ქვეყნისთვის არ დაგვიღვრია.

—

და რაღა ვართ? დღეს სულ სხვა ვართ!
გადვიქეცით მხოლოდ ენად,
მოყვრის გულის მოსაკვლელად
და მტერების მოსალხენად!

—

„ჭამა გვინდა და სმა გვინდა!“
აი ჩვენი საჩივარი!..
არ ვფიქრობთ, რომ ლორ-მუცლობას
არც ზომა აქვს, არც საზღვარი.

—

საზრდო უნდა კაცს იმდენი,
რომ განაგრძოს მუშაობა,
და მეტის-მეტს ვინც დაეძებს,
თანვე ახლავს პირშაობა!

—

მაგრამ, ჰეი, ვინ არ სცდილობს,
რომ კარგად სვას!.. კარგად სჭამოს!..
ჩაიცვას და დაიხუროს...
თვალსა და გულს ასიამოს?

—

ამ სურვილებს ვერ ასცდება
ვერც ძველი და ვერც ახალი!
თითქოს მხოლოდ ეს-ღა იყოს
ცხოვრებაში ჩვენი ვალი!

—

მაგალითად გინდ ავიღოთ,
აი, ჩვენი კიკოლიკა!
მოციქულად მზადდებოდა,
ადვოკატად გაიტლიკა!

—

დღეს დასცინის თავის წარსულს!..
შეცდომად სთვლის! სხვებსაც სძრახავს!
გარეულებს შეურიგდა,
შინაურებს აძრობს რა ტყავს!..

—

ქურქს იკერავს! აღარ სცივა,
ემატება შნო და ძალა;
ხალხსაც მოსწონს და ტაშის კრით
შესძახიან: „ბარაქალა!“

—

იქ რომ მივსწვდით კიკოლიკას,
აქაც ვნახოთ ტეტიკელა;
პირობა და შორი აღთქმა
დაავიწყდა ჩვენში ყველა!..

—

„ამყოლს აჰყევ, ჩამყოლს ჩაჰყევ!“
დღეს ეს არის მისი მცნება.
ჩაბმულია სხვის ფერხულში
და მაღალს ბანს ეუბნება!

—

კაკალს შოვობს და ქვაც მზად აქვს,
დროზედ ჰკრეფს და დროზე ამტვრევს!..
სათვალთმაქცოდ მღერივეს სწმენდავს,
მაგრამ უფრო წმინდას ამღვრევს,

—

რომ თევზები წმინდა ბადით
უფრო მარჯვეთ დაიჭიროს,
უმასპინძლოს მუქთა ხორას
გულ-უხვობით გააკვიროს!..

—

და იმათის დახმარებით
ხმა გაიგდოს, ისახელოს;
იბურთაოს ცხოვრებაში,
გადაავლოს ბურთი ლელოს!..

—

ბრბო რას ამბობს? რა უნდა სთქვას?
შენატრის მის ხერხს და ძალას!
მაგალითად მიაჩნია
და შესძახის: „ბარაქალას“.

—

მხოლოდ ერთი ფეხ-შიშველა,
კუჭ და მუცელ-ცარიელა,
მათ უყურებს მწუხარებით
მეწალკოტე ტარიელა.

—

ხან იცინის ნაღვლიანად,
ხან ცრემლებს ჰღვრის მწუხარებით,
და გულში-კი ასე ჰფიქრობს
გამოცდილის დაკვირვებით:

—

ხეს როდესაც დაჰკრავს სუსხი,
უმალ წვეროს დააჩნდება,
გაყვითლდება ნელა-ნელა
და ფოთლებიც დასცვივდება!..

—

დროზე უნდა მიშველება,
რომ არ გახმეს ძირიანა;
გადახსნება ეჭირება,
წამალია მისი დანა.

აკაკი

დაუცია დასაბეჭდად. პირველი ნომერი მზად იქნება და დაურიგდება ხელის მომწერთ 1 იანვარს, სწორედ ახალ-წლისათვის. პირველ ნომერში მოთავსებული იქნება დაახლოვებით თვრამეტი სხვა-და-სხვა წერილი და ლექსი.

*** ორშაბათს, 27 ნოემბერს, დანიშნულია მორიგი კრება ტფილისის საბჭოს ხმოსანთა. ამ კრებაზედ ბევრი საყურადღებო საგანი აქვს განსახილველი საბჭოს. საყურადღებოა, სხვათა შორის, აზრი ხმოსან თ. ელ. მიქელაძისა, რომ ცხენის რკინის გზაზე ღამ-ღამობით უფრო დიდხანს იყოს სიარული ვაგონებისა და აზრი ქოჩორიანცისა, რომ ხელ-მეორედ გადასინჯულ იქმნას სავალდებულო წესნი კვირაობით სავაჭრო დუქნების დაკეტვისა.

*** 2 დეკემბერს დანიშნულია ეგზამენები ტფილისის საბალოსნო სასწავლებელში. ვისაც სურს ყმაწვილების მიბარება ამ სასწავლებელში, უნდა მიჰმართოს ამ სკოლის დირექტორს ბ-ნს ოსტაპოვიჩს თვით სკოლის შენობაში, რომელიც იმყოფება მუშტაიდში.

*** ვინ არ იცის, რომ მთელს ამიერ-კავკასიაში მხოლოდ ერთად-ერთი დიდი სამკურნალოა, რომელიც ტფილისში არსებობს მიხეილის სამკურნალოს სახელით. აქა-იქ სხვაგანაც არის ესრედ წოდებული ავადმყოფთა მოსასვენებელი სადგურები (пріемные покои), მაგრამ ასეთი მოსასვენებელი სადგურები მხოლოდ თითო-ოროლაა და იქაც ოთხ-ოთხს ავადმყოფზე მეტის მიღება და მკურნალობა დიდის ხნით არ შეიძლება. მხოლოდ პირველი, სასწრაფო შემწეობა ეძლევათ ავადმყოფებს. მძიმე ავადმყოფნი, სხვა-და-სხვა ძნელად მოსარჩენის სენით შეპყრობილნი, ან ისეთნი სნეულნი, რომელთაც დიდი ფარეზობა და მოვლა ეჭირებათ, ეტანებიან განსაკუთრებით ტფილისის მიხეილის სამკურნალოს, მაგრამ ეს სამკურნალო ვერ ეყოფა ამოდენა ქვეყანას. მარტო წელს სამკურნალომ უადგილობის გამო უარი უთხრა თითქმის სამასს ავადმყოფს. ავადმყოფი მოდის ტფილისში, ხან ვინ იცის, რამ სიშორიდამ, ჰხარჯავს ერთს წონა ფულს, ორ-კვირაობითა და სამ-კვირაობით ელის, ელირსები თუ არა მიღებას სამკურნალოშიო, და ბოლოს ეუბნებიან, რომ ვერ მიგიღებთ, ადგილი არა გვაქვს, თქვენს გარდა ბევრიც სხვა უცდის ჯერსაო.

ამ მხრით დიდად სასიამოვნოა, რომ ორს ჩვენს თანამემამულე მკურნალს, სახელდობრ ბ-ნს ს. თოფურიასა და დ. ნაზარიშვილს, განუზრახავთ სამკურნალოს დაარსება ქუთაისში. მკურნალებს მოზრდილი შენობა უკვე დაუქირავებიათ, სობოროს ახლო, სახლი ბოკერიასი, და სამკურნალო 1 იანვრიდამ დაიწყებს კიდეც მოქმედებას.

*** „მასწავლებელთა და აღმზრდელთა ქალთა საზოგადოების“ სასარგებლოდ იქნება წარმოდგენილი შაბათს, 2 დეკემბერს, ტფილისის საზაფხულო თეატრში ოპერა „რუსალკა“ და მესამე მოქმედება „ერნანისა“. მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი ზარუდნაია, გეიდნერი და ბ-ნნი ვანდერიკი, ტარტაკოვი და ბევრნი სხვანიც. ყოველ წლივ ხალხი ბლომად ესწრება ხოლმე, როდესაც ეს ქალების საზოგადოება ჰმართავს წარმოდგენას თავის სასარგებლოდ და უთუოდ, იმედია, წრეულსაც დიდძალი ხალხი დაესწრება, მით უმეტეს, რომ ეს წარმოდგენა თითქმის უკანასკნელი იქნება დღესასწაულებამდის, რადგან არტისტები ბაქოს გაემგზავრებიან ერთის თვით.

*** ველისციხე: შარშან-წინ თუ ძმამ ღვიძლი ძმა მოჰკლა აქ თოფით, წელსაც ერთმა შემძრწუნებელმა ამბავმა აალელვა მთელი სოფელი: გაკაპასებულ-გაანჩხლებულმა ქვრივმა დედამ, ტომით სომეხმა, წარსულს თვეში შეუბრალებლად სცემა თავისს ღვიძლს შვიდის წლის ვაჟიშვილს და ამ ცემას კიდევ დაუმატა ამავე ქვრივის თხუთმეტის წლის ვაჟიშვილმა. საბრალო ნაცემ-ნატყეპი ბავშვი შეაგდეს ცივს მარანში და დაუკეტეს კარები. კარგა ხნის შემდეგ რომ მოაგონდათ და მარნის კარი შეაჭრიალეს, საცოდავი ბალღი მკვდარი დახვდათ.

*** იქიდამვე: ამ თვის 17, დილით, სოფ. ველისციხის მახლობლად, ზედ ფოსტის გზაზედ, სწორედ იმ ადგილას, სადაც შარშან თათრებმა ებრაელი ხახამი აკუწეს, ერთი ველისციხელი გლეხი „გურია“ ნახეს მკვდარი. როგორც აღმოჩნდა, უბედური მომავალებულა ღამე ცხენით ცოტა შექეიფიანებული, ცხენიდგან გადმოვარდნილა, თავი ხის ბოძისათვის მიუხეთქებია და სული დაულევია.

*** იქიდამვე: წარსულს თვეს ერთ აქაურს გლეხს სათივე დაუწვეს. დამნაშავე ჯერ-ჯერობით ვერ აღმოუჩენიათ.

---

## ნაკვესი

ძველებურ მწერლობის მაგალითი.

გრიგოლ დადიანი იოანე წერეთელს ებარა სასწავლებლად. ერთხელ შეგირდი გაჰქცა მოძღვარს და მოძღვარმა ეს წიგნი მისწერა, რომ უკანვე დაიბრუნოს გაქცეული.

„ხახვმან და ნიორმან მეგვიპტურმან— ახლისა ჭაბუკისა სნებამან—განმიფრინა აქაით შენ, მტრედი ჩემი. იფქლი, აღმოცენებული სამღვთოისა სწავლისა გულსა შორის შენ, ძმის-წულისა ჩემისასა მომიშთო კალმან ღრეობისა და ცუნდრუკებისა მამრთა და მდედრთასა. დაუტევენ იგინი, რომელი ჟამსა და უჟამოსა ახარებდა უქონებელსა მისსა და ამისთვის ივლტვი ჩემგან, ზემოთქმულთა ბიწთაგან განსვრილი. გარნა, ნუ! ნუ, საყვარელ ჩემო, მოიქეც ჩემდამო და მე, ერთ-სახელ, სახელითა ოდენ წმიდისა იოანე მოციქულისა, ვემსგავსები ამა ქმნასა შინა და ვითარცა მან მოიღო ხელი მოწაფისა თვისისა ბიწიერ-ქმნილი სისხლითა კაცთა ნათესავთათა, ეგრეთვე მე მოვიღებ გულსა შენსა მდაბიოთა კაცთა შორის ამბოხებათა და ცუნდრუკებათა შორის განსვრილსა, დავასხამ წყაროსა სწავლისასა და განბანილ ვყოფ“.

ლელო

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

სოფ. ველისციხე, 22 ნოემბერი. მოუსავლობამ წელს დიდი ავადმყოფობაც ციებ-ცხელება მოუტანა სოფ. ველისციხის უფრო მდაბიო ხალხს. ამ სოფელს წინად თურმე ძალიან ჰქონდა გატეხილი სახელი ამ მხრით: ამბობდნენ, ველისციხეში ქათმებსაცკი აციებდაო. ხალხს ლექსიც გამოუთქვამს ამის გამო:

გულის-ციხე, ტურის-ციხე,
ციება და კაცის ჭირი;
უმაწვილები ამოჟლიტა
ბებრებს დაუსივა ცხვირი.

დიაღ, ამ სამოც-ოთხმოცის წლის წინად და კიდევ უფრო ადრე ამ სოფლის არე-მარე ხევებითა და ხეხილებით იყო თურმე დაბურული. იმისი დაბლობი, დაცემული ადგილ-მდებარეობა, ძალიან ნოტიო, ბევრგან ჭყანტობები, წუმპო-ჭუჭყიანი ქუჩა-ეზოები, ადვილად წარმოსადგენია, უფრო ზაფხულობით, მხურვალე მზის სხივები რაოდენს მიაზმსაც გაავრცელებდა ამ სოფელში. მერე დახშული, უმოძრაო ჰაერი მცენარეობის სიმდიდრისა გამო სწორედ რომ კაცის ჭირს ციებ-ცხელებას გააჩენდა.

შედარებით დღეს სულ სხვა გახლავთ სოფ. ველისციხე: მაღლიდგან რომ დაჰხედოთ ამ სოფელს, იგი წარმოადგენს ერთს უზარმაზარს ზვარს, ვაზის ქვეყანას, რომელშიაც აქა-იქ სხვა-და-სხვა აზიზი ხეხილი მრავალია, მაგალითად ლეღვი, უნაბი, ბროწეული. ამ ვებერთელა ზვარში გაშენებულია მომეტებულად ქვითკირის სახლები, ქვითკირის გალავანი, შიგა და შიგ ყორეებით შემოზღუდული, უსუფთაო ეზოებით. ყოველივე ესე სიგრძე-სიგანეზედ დასერილია ქვიშა-ტკეცილის საკმაოდ ფართო ქუჩებით. აი ასე აცვლევინა სახე ამ სოფელს დრომ და იმ გარემოებამ, რომ აქაურმა ხალხმა მოჰკიდა ძველადგანვე ხელი, როგორც წინა წერილშიაც მოვახსენე მკითხველებს, მევენახობას, გაკაფა ხევები, გადაჩეხა უბრალო ხეები, ამოაშრო გუბეები, ამოამშრალა ეზო-ქუჩები.

---

სალამოზედ მეფეს მიჰყავს დედოფალი თავის სახლში, სადაც იმათთვის ცალკე ოთახია გამართული ცალკე საცხოვრებლად.

საკვირველი ჩვეულება აქვთ. შერთავს თუ არა მამა-შვილს ცოლს, გაეყრება კიდეც: გაუყოფს სახლს, კარს, სარჩო-საბადებელს, მიწას, ვენახს, ყველაფერს, რაც-კი აბადია. ამას შემდეგ მამა და შვილნი იშვიათად სჭამენ ერთად პურს. მამა წინდაწინვე იმდენს უნდა ეცადოს, რომ თავისს შვილს ყველაფერი მოუპოვოს: სახლიც, კარიც, ადგილ-მამულიც. ამითი აიხსნება სხვათა შორის ის, რომ გერმანელებს დიდი სახლები აქვთ: რამდენი ვაჟიშვილიც ჰყავს, იმდენი სახლი უნდა ააშენოს.

ქალს არაფერს აძლევენ, არც ფულად არც მზითვად. ქორწილის მეორე დღეს, როგორც ყოველი მეზობელი, მეფეცა და დედოფალიც შეუდგებიან საქმეს და ამის შემდეგ წამსაც არ გაუშვებენ იგინი უსაქმურად. ამოუდგება გვერდზედ ახალი პატარძალი თავისს ქმარს და მუშაობს განუყრელად შინ, თუ გარედ. იგი, როგორც კაცი, ჰბარავს, სთოხნის, ვენახს უვლის, რწყავს, სთიბავს სათიბებში და ხშირად კიდეც მკის. რამდენისამე კვირით, თუ თვეობით ქმარი სხვაგან წავა და იმას ჩააბარებს ყოველს საქმეს. ცოლიც ერთგულად უვლის და მუშაობს თავისა და ქმრის მაგიერად. თუ შეიძლებს კარგი, თუ არა-და, დაიჭერს მოჯამაგირეს და იმასთან ერთად მხნეობს.

თავის შრომის ნაყოფსაც ჩვენებურად უბრალოდ არ იმეტებს გადასაყრელად. რაც მეტია, ტფილისში მიაქვს გასასყიდად: ხილი, მოსავალი, თივა, ღვინო, და იმ ფულით შინ საჭირო იარაღს ყიდულობს. თითქმის ყოველი მოსახლე ჰყიდის აქ ღვინოს. ამიტომ აქაური მცხოვრები ზამთარ-ზაფხულ სავსეა სარჩო-საბადებლით, თუ ფულით. მას ყოველი ეს გაზომილი აქვს, რომ გაჭირებაში სხვას პირში ცქერა არ დაუწყოს.

როდესაც გერმანელს მოუკვდება ვინმე, გერმანელები შეიკრიფებიან ცხედრის პატრონისას, ქალები ცალკე, კაცები ცალკე და აგრეთვე ყმაწვილი ქალ-ვაჟიც. სათითაოდ მიელენ ცხედართან და წაუკითხავენ ლოცვებს ცხედარს, შემდეგ იმის პატრონს ნუგეშსა სცემენ. ტირილით არა ტირიან.

აქ უნდა ვსთქვათ, რომ კითხვა ყოველმა სულმა იცის. ისეთი კაცი ან ქალი არ მოიპოვება, რომ წერა-კითხვა კარგად არ იცოდეს. ვინც კითხვა არ იცის, იმას არც ეკკლესიაში უშვებენ, ამიტომ ყოველი გერმანელი სცდილობს, რომ თავის შვილები სოფლის სკოლაში გამოზარდოს. ამასთანავე სკოლაში ნასწავლი რომ არ დაავიწყდეთ, შემდეგ იბარებენ გერმანიიდამ სხვა-და-სხვა წიგნსა და გაზეთს. დღეს ექვსი თუ შვიდი სხვა-და-სხვა ჟურნალ-გაზეთი მოსდით თავის ქვეყნიდგან...

როდესაც გაათავებენ შინ გლოვას, ცხედარი სასაფლაოზედ მიაქვთ. წინ ქალები მიუძღვიან და მგალობლებთან ერთად სულ ერთის ხმაზედ წყნარად გალობენ, მათ შემდეგ კაცები მიდიან და ესენიც გალობას ბანს აძლევენ, ასე რომ სულ ყველა კაცი და ქალი გალობს. ასევეა ეკკლესიაში. სულ წინ მკვდარს მიასვენებენ. ესე გაჰყვებიან სასაფლაომდის, საიდგანაც პირდაპირ თავ-თავისს სახლში ბრუნდებიან. არც სადილო, არც ეახშამო. ჩვენში-კი ჯიხვებითა სმენ ამისთანა დროს.

ერთი კარგი ჩვეულება აქვთ. „ობოლთა დამხმარებელი კასსა“ აქვთ გამართული და თუ ცხედრის პატრონი შეუძლებელია, ცხედარს თითონ დამარხავენ მეზობლები და იმის შვილებს ობოლთა დამხმარებელ კასსის ფულის სარგებლით ჰზდიან. თავნი უკვდავია, კიდეც ჰმატულობს კერძო შემოწირულობით და სარგებლით ობლები იზდებიან.

ბოლოს ორიოდე სიტყვა ხატის სოფლის ჯვარობაზედ. ეს პატარა სოფელი 30 კომლადეა, სძევს შიშველ-ტიტველ მთა-კლდეზედ და ჩრდილოეთით თავის სახნავ-სათესს მინდვრებს, ვენახებს და მოზრდილს მდინარე წყალს გადასცქერის. მცხოვრებლები მთლად ქართველები არიან. ხატის სოფელი ერთად-ერთი სოფელია მთელს ბორჩალოს მაზრაში, სადაც ცოტად თუ ბევრად შესამჩნევი დღეობა წმინდა გიორგობა იცის. ეს ჯვარობა სომეხთა ჯვარობაა. ქართულს სოფელში სომეხთა ეკკლესია და ჯვარობა საიდგან როგორ მოხდა, ვერ გავიგე. ეკკლესია შესანიშნავი არაფრით არის. დღეობა აქ მოდის 8 გიორგობისთვეს. ამ დროს აქ იკრიბებიან მლოცველები თითქმის მთელ ქართლ-კახეთიდამ, მომეტებულად სომეხნი და ქართველნი, მცირედ თათარნი და ბერძენნი. ტფილისიდამაც, ბევრი მოდის საზოგადოდ უფრო მოქალაქე ხალხი დაიარება. ხალხი კარვებს დასცემს ხოლმე. მთელი სამი დღე იციან ჯვარობა. თუმცა ხალხი ბევრი მოდის, მაგრამ გართობა ამ დღეობაში დიდი არაფერია. ჰნახავთ ყველა კარავის წინ უთუოდ ზურნა დალაბანდი ან არღანი უკრავს, ამას დაუმატეთ ცირკი, სადაც კუკების თამაშით ხალხსა სცარცვავენ, და თქვენ წარმოიდგენთ აქაურს გართობას. ქართულის ჯვარობების ფერი ცოტათი სდევს ამ ჯვარობას. აქ ვერ გაიგონებთ თქვენ ვერც მშვენიერს ქართულს ლხინს დაირა მუსიკაზედ, ვერც ათას ნაირს ქართულს სიმღერასა და ვერც ჰიდაობას.

ამ სოფლის ქართველებს, როგორც მთლად ბორჩალოსას, ცოტა არ იყოს დედა ენა, ზნე-ჩვეულებანი, ხასიათი და სხვა საერო თვისება შესცვლიათ. როგორც ეტყობა, ადგილობრივს სომხობას და თათრობას გაელენა ჰქონია. ავიღოთ თუნდა აქაური ქართული სიმღერა. შარშან ერთმა ქართველმა შეკრიბა ამ დღეობაში აქაური ქართველი გლეხნი, იპოვა რამდენიმე ქართველი მომღერალი და ამათთან ამღერა. გლეხებმა რომ სიმღერა გაიგონეს, გაუკვირდათ, ეს რა ამბავიაო. იმ მოთავემ იცოდა, რომ აქ ქართული სიმღერა სრულებით დავიწყებოდათ და განგებ ამღერა, რომ გლეხებს მოეგონათ თავიანთი მამა-პაპური სიმღერები. წელსაც აგრეთვე შეკრიბა გლეხები, იპოვა რამდენიმე ქართულის სიმღერის მცოდნე და ამღერა. ამ დროს მეც იქ დავესწარ. სწორე უნდა სთქვას კაცმა, რომ მომღერლებმა თითონაც არ იცოდნენ, როგორ ამბობდნენ სიმღერებს. მეტიურის მეტი ხეირიანად არა ჰგავდა-რა ქართულ სიმღერებს, ესეც რადგანაც ადვილი სიმღერაა; ამიტომ. სუფრული და მაყრული სულ ვერა სთქვეს. რაც შეეხება ისეთ სიმღერებს, როგორიც არის: ჩონგური, ხეური, კახური, გვიბძანე და სხვა ამისთანა ძველი და ძნელი სამღერლები, იმათი სახელიც არ იცოდნენ. ქართულ მრავალ-ჟამიერის მაგიერათ რუსულის კილოთი სთქვეს. მერე ჩვენ ვსთქვით ქართულს კილოზედ და გაუკვირდათ, არ გაგვიგონიაო. იმ დალოცვილმა ქართველმა დარიგება მისცა, რომ თავის საშობლოს სიმღერების დავიწყება სირცხვილიაო და ეცადეთ, რომ მოიგონოთო. ქურდობა და ავაზაკობა არა მომხდარა-რა. წელს მლოცავი ძალიან ნაკლები იყო.

—

შეცდომის გასწორება: წინა წერილში კატერინენფელდიდამ № 243-ში იყო ნათქვამი: გერმანელები ორასი წელიწადია, რაც კოლონია კატერინენფელდში დასახლდნენო. „ორასი წელიწადია“-ს მაგიერ უნდა იყოს: „ოთხმოცი წელიწადია“.

მას უკან ჰაერმაც თავისუფლად დაიწყო მოძრაობა, მიაზმებიც, რასაკვირველია, შემცირდა და წლითი-წლობით, მაშასადამე, ციებ-ცხელებამაც თვალ-საჩინოდ იკლო.

ასე გატეხა ხალხმა ეს წინად საზარალო ადგილი. დრო გადის და როგორც ამ მხრით, ისე სხვა ყოველის მხრით ველისციხე უკეთესდება. ამ სოფელს კარგი ბედიც მოელის, თუ ვენახებმა არ უღალატა. წინააღმდეგ შემთხვევაში სოფელი მიწასთან განადგურდება, წყალი მოვა და წაიღებს.

როგორც ყველა ჩვენს სამშობლოს კუთხეში და საზოგადოდ სხვაგანაც, ამ სოფელში ციებ-ცხელება თავს იჩენს ხოლმე უფრო ზაფხულობით, თუმცა სიკვდილით დაზარალება ამ სენით იშვიათი შემთხვევაა. დიდი სიკეთე დათესეს ამ სოფლისათვის იმათ, ვინც ეცადნენ, რომ სიღნაღის მაზრის საერო სამკურნალო ამ სოფელში მოთავსებულიყო. მადლობის ღირსნი არიან ისინიც, ვინც დაათანხმა აქაურები, რომ თუ გვინდა ეს ფრიად საჭირო დაწესებულება ხელიდგან არ წაგვივიდეს სამის წლით შემწეობა უნდა მივცეთ რამეო. ველისციხემ სამის წლით იკისრა ამ საქმისათვის შემდეგი ხარჯი: სამკურნალოსათვის შენობა შეშით, ორის ფერშლისათვის, ერთის ვეტერინარ ფერშლისათვის და ერთიც ბებიასათვის სადგომები. თვით ექიმს იუხნოვიჩს-კი ერთმა აქაურმავე თავადიშვილმა დაუთმო ამ ვადითვე სახლი. რადგანაც შარშან სამკურნალოსათვის საზოგადოებამ ბაზარ ადგილას მისცა სახლი, პატივცემულ იუხნოვიჩის მეოხებით წელს სამკურნალოცა და მკურნალის სადგურიც მოთავსებულია მშვენიერს შენობაში და რიგიანს ადგილასაც. საზოგადოდ დიდი მადლი ჰქმნა ამ ღვთიურმა დაწესებულებამ, როგორც მოსალოდნელიც იყო. ეს ვეებერთელა სოფელი და იმის ახლო-მახლო მდებარე სიღნაღის მაზრის სოფლები: მუკუზანი, ახაშენი, ჩუმლაყი, გურჯაანი, კელაკი, ვეჯინი, ბაკურციხე და სხვ. იყვნენ მოკლებულნი რიგიან მედიცინურს შემწეობას, იმ მიზეზით, რომ ეს სოფლები დიდის მანძილით დაშორებულნი არიან ქ. სიღნაღს და თელავს. ცხადია, ამ სოფლებში ველისციხემ მომეტებულად მოიგო, როგორც შემდეგიდგანაც დაინახავს მკითხველი. ამ უკანასკნელს სოფელში წინადაც მოიპოვებოდა ერთი-ორი ფერშალი, რომელთა შორის მხოლოდ „ვლადიმერა ფერშალმა“ მოიპოვა საზოგადო სიყვარული თავისი ერთგულის უანგარო შრომით და ხელოვნურ ექიმობით როგორც ველისციხელებისა, ისე სოფ. გურჯაანიდგან დაწყობილი სოფ. აკურამდის. 1883 წ. სოფელ ველისციხეში გაიმართა აფთიაქი. ამის წარსულს მოქმედებაზე ვერაფერს მოგახსენებთ, მხოლოდ დღეს-კი ლილა ხანა წაუხდა, რადგანაც საერო სამკურნალო უსასყიდლოდ აძლევს ყველას საჭირო წამლებს.

დავუბრუნდეთ ისევ იმ კეთილს დაწესებულებას და გადავავლოთ თვალი იმის თითქმის ერთის წლის მოღვაწეობას.

სამკურნალო იკურთხა და დაიწყო მოქმედება შარშან 6 დეკემბერს. ამ ზემოხსენებულ რიცხვიდგან მდგომარე ნოემბრის 20-დის სამკურნალოს მიუცია უსასყიდლოდ დარიგება და წამლები თითქმის 6,000 ავადმყოფისათვის, რომელთაგანაც თუ ორი წილი არა, უმეტესი ნაწილი ყოფილან მარტო ველისციხელები. მომეტებული ავადმყოფობა ციებ-ცხელება ყოფილა, უფრო ზაფხულის თვეებში, გაზაფხულზედ, შემოდგომაზედ და ზამთარში ზაფხულიდგან შეყოლილი ბებერი ციება, უმეტესად გაციებისაგან წარმომდგარი: მჭვალი, ფილტვების ანთება, სურდო-ხველა და სხვ.

მაშასადამე, ორთა-შუა რიცხვით 500 ავადმყოფს მიუღია შემწეობა თთვეში, ესე იგი დღეში 17 კაცს. თვით მკურნალმა ბ-ნმა იუხნოვიჩმაც ამ ერთის წლის განმავლობაშივე საზოგადოდ კარგი სახელი დაიმსახურა. მომეტებულად ემადლიერება გლეხკაცობა. ამ მკურნალმა უკანასკნელს ხანებში დიდად ისახელა თავი აგრეთვე ბებიობით. ექვსიოდე ისეთი გადადებული მანდილოსანი მოარჩინა მშობიარობის დროს და იმის შემდეგაც, რომ ყველას იმედი ჰქონდათ გადაწყვეტილი იმათ გამობრუნებისა. თუმცა ამისთანა მაგალითები თვალ წინა აქვთ ველისციხელებს, მაგრამ ხომ კარგად მოგეხსენებათ, რომ ჩვენი მდაბიო დედათა სქესი არ მიიკარებს ახლო მამაკაცს ექიმს, თუ გინდ აუტანელი ტანჯვა დაადგეს მშობიარობაზედ. თუ მიჰმართავს ვინმე, ისიც ათასში ერთი. აი ამისათვის არის სამწუხარო, რომ ამ წლის მაისიდგან ბებია აღარა ჰყავს სამკურნალოს და ილაჯ-გაწყვეტილი, იმედ-დაკარგული გლეხობა ექიმს აჴლებს ბებიის მოვალეობასაც, ისიც მაშინ, როდესაც ავადმყოფს სამარეში ცალი ფეხი ჩაუდგამს კიდეც.

წელს თებერვლიდგან მაისამდე იყო აქ ბებია რუსის ქალი, რომელიც გადაიყვანეს ქ. სიღნაღში. მისი ყოფნა სოფლად არ-ყოფნას უდრიდა, ერთი სიტყვა არ ესმოდა ქართული და თუ ავადმყოფი ვინმე მიიწვევდა, თან უსათუოდ თარჯიმანი მამაკაცი უნდა გაეყოლებინა, რადგანაც დედაკაცობაში გლეხთა შორის არავინ არ იცის რუსული.

გვგონია, რომ ქართველ ქალებშიაც მოიპოვებიან ნასწავლი ბებიები. ჩემის აზრით, არც ერთი მათგანი არ იზარალებს, რომ ეს თავისუფალი ადგილი ითხოვოს: თთვეში 25 მან. ჯამაგირს გარდა, უფრო მომეტებულს აიღებს ფულად, რადგანაც კახეთის სოფლებში არსად ნასწავლი ბებია არ მოიპოვება.

„კამბეჩების დოხტურსაც“, როგორც აქაური ხალხი უწოდებს პირუტყვების ფერშალს, არ აკლია პრაქტიკა: ყოველთვის საკლავ საქონელს სინჯავს, საეჭვო ოთხ-ფეხის ხოცვას უკრძალავს, აგრეთვე დაკლულ ცხვრის გაზერვასაც, ასე რომ ამ ფრიად საჭირო მხრითაც გვპატრონობენ.

აქ უნდა აღვნიშნო პირუტყვთა ფერშლის აზრი ადგილობრივ სოფლების საქონლის ავადმყოფობაზე. მისის აზრით, კამბეჩობა უფრო ხდება ავად ზამთარში და ადრე გაზაფხულზედ მომეტებულად ფილტვის ანთებით, რომლის მიზეზად ასახელებს ძალიან თბილს, უსუფთაო გომებს და მოვლის უცოდინარობას. გომურები დამართულია მიწაში, ინახება უსუფთაოდ და შერეკავენ იმდენს საქონელს, რომ ტევა აღარ არის. ამ სითბოდგან უდრო-უდროოდ გარედ გამორეკა სიცივე-ყინვაში საშინლად აზარალებსო. ამ ჟამად ეს ფერშალი გაგზავნილია სიღნაღის მახლობლად ს. კრემნჩუკაში, სადაც სცხოვრობენ მალაკნები და სადაც მძვინვარებს თურმე საქონლის ჭირი.

სანიტარულის მხრითაც ყურადღება არ მოუკლია წელს ბ-ნ იუხნოვიჩს ამ სოფლისათვის. მომავალ წლის გაზაფხულიდგან ხომ დიდი იმედი გვაქვს, რომ უფრო ეცდება, რადგანაც როგორც ბაზარი და ზოგიერთი ეზოები, ისე ამ სოფელში აღმოსავლეთით შემოსავალი ადგილი მეტის-მეტად უსუფთაოდ ინახება. დარწმუნებულნი ვართ, რომ მიაქცევს დიდის გულ-მოდგინებით სანიტარების მოქმედებას ამ სავანს, ამით სოფელსაც შეუმცირებს სენს და თითონაც შეიმსუბუქებს მუშაობას. ღმერთმა ინებოს, რომ ბ-ნმა იუხნოვიჩმა კვლავაც არ მოაკლოს სასურველი ყურადღება, ბეჯითობა მომეტებულად კვირა-უქმე დღეს, რადგანაც მაშინ უფრო მიჰმართავს ხოლმე მუშა ხალხი სამკურნალოს.

მახარობელი

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

რუბინშტეინის ორმოც-და ათის წლის მოღვაწეობის იუბილეიმ დიდი აღიაქოთი და აურზაური გამოიწვია მწერლობაში. ამ დიდად ნიჭიერის კაცის იუბილეის თითქმის ყველა ცოტად თუ ბევრად გონიერი კაცი და ავ-კარგის გამრჩევი დიდის პატივისცემით მიეგება და ნიჭს შესაფერი ძღვენი შესძღვნა. ერთი გაზეთი არ დარჩა რუსეთში, რომ შესაბამის ხმით არ მოეხსენებინა პატივცემული მეიუბილეიე. აჱ წარმოიდგინეთ, „Стрекоза“-ც-კი ჩაერია საერთო ფერხულში და აი რა სიტყვებით მიეგება ამ იუბილეის:

დღეს, 18 ნოემბერს, ყველა როიალისათვის, რომელიც-კი ქვეყნის ზურგზედ არსებობს (როიალი მარტო შპიცბერგენსა და კონგოს შესართავში არ არის) დიდი და შესანიშნავი დღეა--დღესასწაულია იმათის გამოჩენილის მეფისა და მბრძანებელის ანტონ I-სა.

დღეს ყველა როიალი ძალიან მხიარულად უნდა იყოს მომართული.

დღეს ნება აქვს როიალი დაუკრას გაუკვლევლად და გაუკიცხველად ყველას, ვისაც-კი ჰსურს და რაც კი ჰსურს.

დღეს დღეა საზოგადო შენდობისა და მიტევებისა ყველა როიალის ნაცოდვარისა: ნოტის სიყალბისა, ჰანგის წახდენისა, შეცდომით აღებულ ტემპემისა და სხ.

დღეს სწორედ ნახევარ საუკუნეა, რაც ანტონ I კონცერტის კვარცხლბეკზედ ავიდა.

გაუმარჯოს. დუმილია. სადღაც შორს ჰაერის საწმენდ მანქანის ჩხიკინი გაისმის და მოშორებით მყოფ სკამებთან ხველისაგან სულს ძლივს იბრუნებს ვიღაც მოხუცებული.

ღვთით მერე, რა არის რუბინშტეინის როიალი?

სტიქიონია, ჯოჯოხეთი და სამოთხე, ქუხილი და გალობა, შუშხუნა და შადრევანი, სული და გრძნობა, სიმშვენიერე და ბრწყინვალება, განმაცხოველებელია ყველა წარსულის პიანოს დამკვრელისა და აწმყოში... მარტო რუბინშტეინისა.

მაშ დავსხდეთ ყველანი როიალთან და დავიწყოთ. დავუკრათ და ხოროთი ვიგალობოთ: „ანტონ I-ს მრავალ ჟამიერ“. ვიმღეროთ, მაგრამ Animato, con vivace e con fuocco-დ-კი!

დიახ, ყველა დიდის სიამოვნებით მიეგება დღესასწაულს ნიჭისას, მაგრამ ამ ყველაში ითოოროლა ისეთიც გამოჩნდა, რომელთაც შეშურდათ უხვად დადაფნვა პატივცემულის მეიუბილეიესი და დაიწყეს არა-საკადრისი ლაპარაკი, რომ ებრაელია, ჩვენი კაცი არ არის და რად უნდა ვსცემდეთ ასეთს დიდს პატივსაო, თითქოს ნიჭი საზოგადოდ არ იყოს სათაყვანებელი, სულ ერთია, ებრაელი იქნება იმით უხვად დაჯილდოებული და მომადლებული, ჩინელი, თუ იაპონელი.

**

ან რა საკვირველია, რომ რუბინშტეინის სახელი და დიდება შეშურებოდათ, როცა ჩვენს სახელოვანს და ექვსას წელზედ მეტია ამ სოფელს განშორებულს შოთა რუსთაველსაც-კი არ ასვენებენ სამარეში და როცა იმისი ნიჭი და დიდება ეხლაც-კი ძი[..]ს უფრთხობს ჩვენს სვე-ბედნიერს ნარ - დოსს. ამ „Сѣвер. Вѣст.“-ის ფურცლებზედ ელვა-ჭექით საქართველოს დასამხობად გამოსაპარეზებულმა ბუმბერაზ-დევმა წარსულს ხუთშაბათის „Новое Обозрѣніе“-ში წერილი დაჰბეჭდა ნიკოლაძის წინააღმდეგ, რომელშიაც სხვათა შორის აი რას ამბობს ეს უთვლად ბრძენი და მცოდნე „ვეფხის-ტყაოსნის“ კრიტიკოსი:

„Впрочемъ до всего этого, какъ до „археологіи“, Г. Николадзе нѣтъ дѣла, какъ нѣтъ ему дѣла и до того, что Руставели очень неловко отзывается объ апостолахъ, говоря въ одномъ мѣстѣ, что они „звенятъ, какъ бубенчики“,—фраза, звучащая какимъ-то диссонансомъ въ устахъ христіанина, воспитавшагося въ Византіи и пишущаго оригинальную поэму“.

არ იკითხავთ, რა ადგილია ის ერთი ადგილი, სადაც «Руставело неловко отзывается объ апостолахъ»? აი ავთანდილის ანდერძში ის ადგილი, უკუღმართად გაგებული ბრძენის ნარ - დოსის მიერ:

წაგიკითხავ, სიყვარულსა
მოციქულნი რა გვარ სწერენ,
ვით იტყვიან, ვით აქებენ,
სცან, ცნობანი მიაფერენ:
„სიყვარული აგვამაღლებს“,
ვით ეჟვანნი, ამას ჰქუერენ;
შენ არ სჯერხარ, უსწავლელნი
კაცნი რადმცა შეაჯერენ.

აბა სად არის ამ ლექსში ისეთი დამცირება მოციქულებისა, რომ ქრისტიანს სათაკილოდ ჩაეთვლებოდეს? ან „ეჟვანნი“ ნახშირის ჯორების ზარები რადა ჰგონებია? ის, რაც რუსთაველს მოციქულთა საქებრად აქვს დაწერილი, რომ იმათი სიტყვები ვით ეჟვანნი ჰქუერენ: „სიყვარული აგვამაღლებსო“, მეცნიერს კრიტიკოსს ძაგებად მიუჩნევია. მაშ ეს არის იმისი „однимъ штрихомъ обнять“? ტყუილადკი არა სწერს იმავ ლექსში ბრძენი რუსთაველი: «სცან, ცნობანი მიაფერენო». აი, სწორედ ეს ცნობანი ვერ მიუფერებია ნარ-დოსს და წაღმა უკუღმად შესმენია. მართალს ამბობს ბერნე ერთ ალაგას: სულელის კაცის უბედურება ის-კი არ არის მარტო, რომ თითონ ამბობს სისულელეს, არამედ ისიც, რომ სხვის სიბრძნეც სისულელედ მიაჩნიაო.

# წვრილი ამბები

სტამბოლიდგან ბერლინში აპირებს თურმე წასვლას განსაკუთრებულის მანდოპილებით გუნერალი გოპე-ფაშა. ფაშას თან მიჰყავს ქვსი ნამდვილი არაბული ცხენი: ერთი წყვილი იმპერატორის ვილჰელმისთვის, ერთი იმპერატრიცასათვის, ერთი პრინცის ჰენრიხისათვის, ერთი პრინცის მეკლენბურგელისა და ერთიც გრაფ გერბერტ ბისმარკისათვის.

— თითქმის ყველა ფრანგულ გაზეთში დაიბეჭდა პროტესტი ვიღაც ერნესტ ზოლასი, რომელსაც განსაკუთრებული მანქანა გამოუგონია სახლოუღსავლის შესაკრავად. ეს გამოჩენილის მწერლის ზოლას სეხნია გვარით აცხადებს, რომ მართალია, ჩემი გვარიც ზოლა გახლავთ, მაგრამ, თუ ღმერთი გწამთ, ის ზოლა არ გეგონოთ, რომელიც რომანებსა სწერსო. რაღა თქმა უნდა, რომ ეს პროტესტი დიდის ხერხით შეთხზული რეკლამაა ბ-ნ ერნესტ ზოლას მიერ გამოგონილ მანქანისა, რომელიც, ამ ახირებულის წერილის გამო, ეხლა ძალიან იყიდება თურმე.

— ინგლისელები იმდენსავე ბევრს ჰხმარობენ ლუდს, რამდენსაც გერმანელები. ამას, სხვათა შორის, შემდეგი რიცხვებიც ამტკიცებს: ინგლისში ამ ჟამად სულ 13,658 ლუდის ქარხანაა, რომელთაც 26.644,000 ზოჩკა ლუდი გამოუხდიათ. აი ეს ამოდენა ლუდი ისე შთაუნთქავთ ჯონ-ბულებს, რომ ცვარი არ დაუტოვებიათ.

— ახირებულად სჯიდნიათ დასჯას ადამიანისა ზანზიბარში. აი ერთის სიამილის დასჯისას რას მოგვითხრობენ გაზეთები: დასასჯელ ადგილად ამორჩეული იყო უშველებელი მინდორი. დასასჯელი, 30 წლის ჯან-საღი კაცი, გულგრილად შესცქეროდა გარშემო მზადებას. როცა მოიყვანეს, მოითხოვა, რომ პური მაჭამეთო, და ეს სურვილი მაშინვე აუსრულეს. გაძღა ეს სიამილი, კარგად მადიანად შეექცა საჭმელს და შემდეგ რამდენიმე სიგარა გააბოლა. იქ მყოფმა ევროპიელმა ექიმმა გუბსმა სთქვა, რომ დასასჯელს მაჯა ზომიერად და მშვიდად უცემს და აღელვება არაფერზედ ემჩნევაო. ადგილობრივის ზნე-ჩვეულებისამებრ, დასდგეს თურმე საკურთხეველი, რომელზედაც სხვა-და-სხვა ნივთეულობა დააწყვეს, მოხარშული ქათმები, ხილი, ნამცხვარი, სასმელეულობა და სხ. შემდეგ მოვიდა ჯალათი და რამდენჯერმე მუხლი მოიყარა. მერე ერთმა ხელქვეითმა ჯალათისამ ბრინჯი დააბნია საკურთხეველს გარშემო, მერე იქ დაწყობილს ნივთეულობას აიაზმა ასხურა. დასასჯელს წითლის ხელსახოცით შეუკრეს თავი, ხვავზედ დასვეს და ხელები გაუკრეს. ჯერ ურთან ჩვეულებრივი დარიგება წაუკითხა ჯალათმა და მერე ხელქვეითს რაღაც ანიშნა. ამანაც გაჯით გამოუსვა დასასჯელს ყურები. შემდეგ სიამილს ხელში ორი სანთელი დააჭერინეს და ორი ანთებულიც წინ დაუდგეს. ჯალათი კვლავ საკურთხეველთან მივიდა და მუხლი მოიყარა. ხელქვეითმა ამ დროს სიამილს რამდენჯერმე ხელი გადაუსვა თავზედ და ამითი გათავდა მთელი წესი დასჯისა. ჯალათი შემდეგ დაბრუნდა და უკანიდგან მოუდგა დასასჯელს. ხალხში სრული სიჩუმე და დუმილი ჩამოვარდა. ბრალდებული ჯერ ისევ მშვიდად იჯდა, რომ უკანიდგან მომდგარმა ჯალათმა ხმალის ერთის მოქნევით მსხვერპლს წააგდებინა თავი.

— ლონდონში ერთს მეეტლეს უეცრად და სულ მოულოდნელად დიდი საშემკვიდრო მიუღია. ამ მეეტლეს წერილი მისვლია ნოტარიუსისაგან, რომ 70,000 მან. გერგება ერთის მოხუც კაცისაგან დარჩენილიო. ამ მეეტლეს ეს მოხუცი სამის წლის წინად რამდენჯერმე შეხვე-

დრია სამიკიტნოში და ნასვამი სახლში გაუცილებია. ამავე მოხუცს იქვე მახლობელ ეკკლესიისათვის 50,000 მან. უანდერძებია.

### გამოსადეგი ცნობა

**წყალმანკის წამალი.** ხალხის აზრით, წყალმანკის უებარ წამლად ითვლება ბოლოკის დადუღებული წვენი. ჩვეულებრივი ბოლოკი უნდა გაფცქვნათ დანით. მერე ამ ნაფცქვენით გაავსოთ ინგლისის ქოთანი, ან ქილა და ზედ მდუღარე წყალი დაასხათ, ვიდრე ქილა გაივსებოდეს. შემდეგ ამისა ქოთნის პირი ცომით უნდა გალესოთ და ეს ქოთანი ღუმელში შესდგათ ოთხი საათი აქ უნდა იყოს. შემდეგ წვენი უნდა გადმოასხათ ქილიდამ და ნაფცქვენი კარგა გასწუროთ. ეს წვენი ავადმყოფს წყლის მაგიერ უნდა ასვათ რაც შეიძლება ბლომად. ამ წამლისაგან ავადმყოფი ძრიელ იოფლება და ამიტომაც იგი თბილად უნდა შეინახონ, რომ არ გაცივდეს. საჭმელი ბევრი არ უნდა აძლიონ, ხოლო თევზეულობა-კი სრულიადაც არ ეჭმევა. საცვალი ხშირ-ხშირად უნდა გამოუცვალონ და ლოგინიც ხშირად გაუმზეონ. ეს წამალი უებრად ჰმოქმედობს და ხანდახან წყალმანკიანს ორ კვირაზე არჩენს.

**ცოფიან ცხოველების დაკბენილის წამალი.** ხალხის აზრითვე ცოფის ასაცილებელ საიმედო წამლად ითვლება მცენარე ვერხვა. უნდა აიღოთ სამი გირვანქა ვერხვა, ორ გირვანქა წყალში მოადუღოთ და მერე ეს წვენი ერთ სმაზედ დაალევინოთ ავადმყოფ პირუტყვს. დალევის შემდეგ პირუტყვს ცოფი ერევა საშინლად, მაგრამ შიში არაფრისაა. შემდეგ მალე პირუტყვს წყალივით ოფლი ასხამს და ერთს დღე-ღამეში ავადმყოფობა ივლის. კაცსაც ამავე წამალს ასმევენ და ამას გარდა ჭრილობასაც ჯერ ისევ ახალ-ახალს მოუწვენ ხოლმე.

## დეპეშა

24 ნოემბერი

პეტერბურგი. „Новости“ ამბობს, რომ იაპონიის მთავრობამ უნდა გააძლიეროს თავისი ვაჭრობა რუსეთში და ამიტომ აპირობს საელჩოები დააარსოს ბევრს რუსეთის ქალაქში.

კიევი. გუშინ გარდაიცვალა გენერალ-ადიუტანტი ტრეპოვი.

პეტერბურგი. გამოცხადებულია უმაღლესი ბრძანება, რომ ლიფლიანდიისა, ესტლიანდიისა და კურლიანდიის გუბერნიებში განსაკუთრებით რუსული ენაა სავალდებულო საქალაქო თვით-მმართველობის შინა საქმეთა წარმოებაში და აგრეთვე მაშინ, როცა იქაურს საქალაქო საბჭოებს სჯა და baasi აქვთ ხოლმეო. ამასთანავე ნება დართულ იქმნა, ვიდრე ახალი განკარგულება გამოვიდოდეს, გადაწყვეტილებანი საქალაქო თვით-მმართველობისა იბეჭდებოდეს, რუსულს გარდა, გერმანულადაც, ხოლო თუ საჭირო იყოს, იქაურ მკვიდრთა ენაზედაც. კერძო არზათა შესახებ გადაწყვეტილება უნდა დაიდოს იმ ენაზე, რა ენაზედაც თვით წარდგენილი არზა იყო დაწერილიო. ზემოხსენებული წესი შემოღებულ უნდა იქმნას: ქალაქ რიგასა, რეველსა და მიტავაში ეხლავე, ხოლო ზემოხსენებულ ქვეყნების სხვა ქალაქებში მაშინ, როცა ამას საჭიროდ დაინახავს შინაგან საქმეთა მინისტრი.

ზანზიბარი. გუშინ საღამოს ბაღამაიოში ემინ-ფაშა გადავარდა ფანჯრიდამ, რომელიც, სიბეცის გამო, ალბად კარები ეგონა. გადმოვარდნით ემინ-ფაშას თავი გაუტყდა. ემინ-ფაშა მძიმე ავადმყოფია მაგრამ დოქტორს პერკს იმედი აქვს, რომ სიკვდილს გადაარჩენო.

ლონდონი. უფრო დაწვრილებული ცნობანი მოვიდა ემინ-ფაშას შესახებ. ემინ-ფაშა გადავარდნილა 20 ფუტის სიმაღლის აივნიდამ და ძრიელ დაშავებულა: მარცხენა თვალი სრულიად გამოვარდა თურმე; ყურებიდამ სისხლი სდის; ტანზე საშინელი წყლულები აქვს. გერმანიის კორვეტმა „სტერბერმა“ სტენლი და იმისი ამხანაგები ზანზიბარს მოიყვანა. ემინ-ფაშას კაცები კორვეტს მოსდევენ ბრიტანიის კანონერკით.

დღეს დილით მოვიდა ბოლამაიოდამ ამბავი, რომ ემინ-ფაშა ცოტა უკეთ შეიქმნაო.

პეტერბურგის ბირჟა, 24 ნოემბ.

| | მყიდველნი. | გამყიდველნი. | გაყიდულნი. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — „ | — „ | 7 48 |
| ტამოჟნის კუპონები | 149 3/4 | — „ | — „ |
| მანათიანი ვერცხლის ფული | 1 10 | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მოგები ბილეთი | — „ | — „ | 253 1/2 |
| —მეორისა | — „ | — „ | 226 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | 96 3/4 | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა | — „ | 97 1/2 | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — „ | 84 1/4 | — „ |

### გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 ნოემბრიდამ 1 დეკემბრამდე

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა. | 3 1/2 | „ |
| „ 2 „ | 3 | „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარ. | 5 | „ |
| „ „ 2 „ | 4 | „ |
| „ „ 3 „ | 3 1/2 | „ |
| ჯვარის მამის პურის ლავაში 1-ლის ხარისხისა. | 5 | „ |
| მე-2 ხარისხისა | 4 | „ |
| მე-3 — | „ | „ |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 8 | „ |
| „ 2 „ | 7 | „ |
| სუკი | 14 | „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 7 | „ |
| ღორის ხორცი | „ | „ |
| „ 2 „ | „ | „ |

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავ. ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდან და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

## განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში

ვალ. გუნიას მიერ შედგენილი

**სახალხო კალენდარი**

1890 წ.

ფასი ორი შაური

ვინც ერთბაშად იყიდის ას წიგნს, იმას მანეთზე ხუთი შაური დაეთმობა, ანუ ერთ თუმნად შეუძლიან მიიღოს 13 მ. წიგნი. ვინც იყიდის 300 ცალს, იმას მანეთზე ექვსი შაური დაეთმობა, ანუ სამ თუმნად შეუძლიან მიიღოს ოთხის თუმნის წიგნი.

წიგნის მაღაზიებს დაეთმობა ჩვეულებრივი პროცენტი. ვისაც სურს კალენდრის გამოწერა, შეუძლიან ნახევარი ფასი ამ თავითვე გამოგზავნოს და ნახევარი მიღებისათანავე გადაიხადოს (съ наложеннымъ платежомъ).

მიჰმართონ წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიას და ტერ-სარქისოვის საკანცელარიო მაღაზიას, სასახლის ქუჩაზე, დალაკევის სახლში.

ამ დღეებშივე გამოვა „საქართველოს კალენდარი“ 1890 წ. და ჟამის წიგნი 1890 წლისათვის.

**ტფილისის საქალაქო გამსესხებელ კასსისაგან.**

ტფილისის საქალაქო გამსესხებელი კასსა ამით აცხადებს «პრიკაზში» დამგირავებელთა საცნობელად (ვისაც ნივთები აქვს დაგირავებული), რომ მათის ბილეთების ვადა გადის 30 ნოემბერს ამა 1889 წლისას. ამიტომ ზემოდ აღნიშნულ ვადამდე უნდა გამოისყიდონ თავიანთი გირაოები, ანუ ხელ-მეორედ დააგირაონ კასის წესებისამებრ. წინააღმდეგ შემთხვევაში მათი გირაოები აუქციონით გაიყიდება.

(3—2)

„წერა-კითხვის საზოგადოების“

წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ისტორია საქართველოსი, დ. ბაქრაძისა | 1 | „ |
| მოკლე დარიგება ხეხილების გამრავლებაზე სურათებით, „მეურნეს გამოცემა“ | „ | 20 |
| ბამბა და მისი შემუშავება მ. ჯ—ლი. | „ | 15 |


# КУРСЫ АНГЛІЙСКАГО ЯЗЫКА

при первой Тифлисской Гимназіи для всѣхъ мужскихъ средне-учебныхъ заведеній начинается 28-го Ноября, съ 5 1/2 час. вечера. Учебники получены въ Центральной Книжной Торговлѣ.

(1—1) М. Муртагъ

## ქილქილი

ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, იაკობ გოგებაშვილის შედგენილი, მეათე შეცვლილი გამოცემა.

დაიბეჭდა „წერა-კითხვის საზოგადოების მიერ“ და ისყიდება ამ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ტფილისში, სასახლის ქუჩაზედ, ბანკის ქარვასლაში. ფასი 10 კაპ,

ვინც ერთბაშად იყიდის არა ნაკლებ ათის ცალისა, წიგნი დაეთმობა ცხრა კაპეიკად, ვინც იყიდის ასს, ან მეტს ეგზემპლიარს, წიგნი მიეცემა რვა კაპეიკად.

ტფილისს გარეშე მყიდველთ უნდა მიჰმართონ წიგნის მაღაზიას ამ ადრესით: Въ Тифлисъ. Дворцовая улица, Карванъ-Сарай Земельнаго банка, № 102.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## ივერია

1889 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვეით | 10 მ.—კ. | 6 თვეით | 6 მ.—კ. |
| 11 „ | 9 „ 50 „ | 5 „ | 5 „ 25 „ |
| 10 „ | 8 „ 75 „ | 4 „ | 4 „ 70 „ |
| 9 „ | 8 „ — „ | 3 „ | 3 „ 50 „ |
| 8 „ | 7 „ 25 „ | 2 „ | 2 „ 50 „ |
| 7 „ | 6 „ 50 „ | 1 „ | 1 „ 75 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ, Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვეის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით იმას მხოლოდ შემდეგი თვეის პირველს დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვეის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქცია ვეღარ მოსთხოვენ.

**არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.**

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმების გარდა, პირველ საათიდამ სამ საათამდე და საღამოობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ავჭალის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში.

## დედა ენა და ბუნების კარი

ახლად დაბეჭდილნი „წერა-კითხვის საზოგადოების“ მიერ

ისყიდება

„საზოგადოების“ კანცელარიაში.

ბუნების კარი უცვლელად არის დაბეჭდილი, დედა-ენა-კი შეცვლილი და შევსებულია ახალი მოთხრობებით, ლექსებით და სურათებით. ფასი უწინდელია, ესე იგი „დედა-ენა“ ღირს ექვსი შაური (30 კაპ.), ბუნების კარი—თხუთმეტი შაური (75 კაპ.).

ვინც ერთბაშად ნაღდ ფულზე იყიდის ოც-და-ათ ცალს დედა-ენისას, თითო წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად (25 კაპ.); ვინც იყიდის ათს ცალს ბუნების კარისას ნაღდსავე ფულზე, თითო წიგნი დაეთმობა თოთხმეტ შაურად (70 კაპ.), ვინც ოც-და-ათს ცალსა,—ცამეტ შაურად (65 კაპ.), ვინც ასსა და მეტსა,—სამ აბაზად (60 კაპ.).

ვისაც ჰსურს ყდაში ჩასმული წიგნი იყიდოს, თითო წიგნზე კიდევ სამი შაური უნდა დაუმატოს.

ვინც ტფილისის გარეშე წიგნს დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი თვითონ მყიდველმა უნდა იკისროს.

მყიდველებმა ამ ადრესით უნდა მოჰმართონ კანცელარიას: Тифлисъ. Въ канцелярію Общества грамотности, Дворцовая ул., домъ Зем. Банка, № 102.


Дов. ценз. Тифлисъ 25-го Ноября, 1889 г. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи, пом. Т. Д. З. Банка на Фрейлинской ул.). რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.